

საქართველო



ფასი 3 მან.

კვირა, მაისის 9 1920 წ.

რეპუბლიკა

შთავრების მოახვე, უფელდელიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
მიიღება ხელის მოწერა ვაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქ. № 6. ტელეფონი 1-82.

შრომის მინისტრისაგან

ყველა საწარმოო და დაწესებულებანი (კერძო, საზოგადო და სახელმწიფო) რომლებს მოსამსახურენი და მუშები სარგებლობენ სურსათით მომარაგების ფონდიდან, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ წარმოადგინონ შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდაში იმ მუშებისა და მოსამსახურეების სია, რომლებიც გაწვევულნი არიან სამხედრო სამსახურში, აგრეთვე წარმოადგინონ მათი სასურსათო ბარათის №.№.

საწარმოოს ან დაწესებულების ადმინისტრაცია, რომელიც 10 მაისამდე არ წარმოადგენს ამ ცნობას, ან სწორად არ აჩვენებს, პასუხისმგებელი იქნება მიცემული.

494 3-3 შრომის სამინისტრო

ოფიციალური განცხადება

კ ა ნ ო ნ ი

სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის აპრილის 1-დან სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა ამ დეკრეტთან დართული ნუსხის თანახმად.
2. პირველი (1) მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაეყმულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან

სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის აპრილის 1-დან ივნისის 1-დეორი მილიონი სამოცდა ერთი ათას სამას ორმოცდა ოთხმეტი (2.061.354) მანეთი.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 23-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

გ ა მ გ ე ო ზ ა

ქართული სავაჭრო ბანკისა

ქ. ფოთში

აქით ახსადავს 8. აქციონარების საუკრადლოდ,
რომ მეორე ნახევარი 50% ტ., ხუთასი მანეთი თითო აქციაზე უნდა იქმნეს შემოტანილი არა უგვიანეს

პირველ ივლისისა ავანსისა,

აღნიშნული ბანკის სალაროში. ვინც აღნიშნულ ვადაზე ფულს არ შემოიტანს სრულად, თანახმად ბანკის წესდების 8 მუხლისა, გადახდება ხელმოწერების ბანკის სასარგებლოდ ყოველ ვადაცილებულ დღეში 6% ჯარიმა და 6 პროც. პენია წლიურ ანგარიშით. და ნომრები ფული შემოუტანელ აღნიშნული ვადაზე მოწოდებისა იქნება გამოცხადებული „საქართველოს რესპუბლიკა“-ში და ამ განცხადების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში ფული თუ არ იქნება სრულად შემოტანილი, გამგეობა ვალდებულია გაყიდოს ბირჟაზე მაკლერის საშუალებით ყველა მოწოდება, რომლითაც ფული არ შემოუტანია იმ ნომრებით, რომელიც იყო გამოცხადებული. შემდეგ ვადა გასული მოწოდებები გამოცხადებული იქნება გაუქმებულად და ახალ მყიდველებს მიეცემა ახალი მოწოდებები იმავე ნომრებით, იმ აღნიშვნით, რომ ეს მოწოდებები მიცემულია ძველის მაგიერ თავის დროზე ფულის გადაუხდელობის გამო. აღებული ფულიდან ამ მოწოდების გაყიდვისგან ყოველივე ხარჯი და პროცენტის გამოკლებით დაუბრუნდება თავიანთ პატრონს.

960 3-1

ბ რ რ ი ს

საუკრთიერთო ნდობის საზოგადოების

საბჭო და გაგებობა

სთხოვს საზოგადოების წევრებს დაესწრონ კვირას, 23 მაისს 1920 წ. დილის 11 საათ. გორის საკრებულოს საზაფხულო დარბაზში

საზოგადოების მოკრიბ წლიურ კრებას.

თუ პირველი კრება არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო, მეორე კრება ინიშნება ამავე წლის 6 თიბათვეს; მეორე კრება კანონიერია, მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა.

- გ ა ნ ს ა ხ ი ლ ვ ე ლ ი ს ა გ ნ ე ბ ი :**
1. გამგეობის და საბჭოს მოხსენება საქმეთა მდგომარეობის შესახებ.
 2. განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ანგარიშისა.
 3. განხილვა და დამტკიცება 1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.
 4. არჩევნები საბჭოს ორი წევრისა ნაცვლად ა. ზ. მეზურიშვილისა და პ. ქ. ჯაფარიძის, რომელთაც ვადა გაუვიდათ.
 5. არჩევნები გამგეობის სამი წევრისა.
 6. არჩევნები სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატებისა 1920 წლის ანგარიშის შესამოწმებლად და სხვა საკითხები, რომელნიც პირდაპირ შეეხებიან დღიურ წესრიგს.
- 490 3-1

23 მაისს დილის 11 საათზე ქ. ტფილისში (ფრეილინის ქ., № 11) დანიშნულია **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრთა**

ს ა ზ ო გ ა დ ო რ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი კ რ ე ბ ა,

განსახილველი საგნები: 1) ანგარიში პალატის თანხებისა; 2) ანგარიში პალატის მოქმედებისა, 3) ხარჯთ-აღრიცხვა 1920 წლისა; 4) არჩევა კომიტეტის წევრებისა ნაცვლად ორი წევრისა, რომელნიც კომიტეტიდან გადიან თანახმად წესდების 21 §-სა.

თუ კრებას არ დაესწრო წევრთა კანონიერი რიცხვი, თანახმად წესდების 37 §-სა, მეორე კრება, რომელიც შესდგება 24 მაისს, საღამოს 6 საათზე იქვე, კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

956 3-1 პალატის კომიტეტი.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების სექციისა 1920 წლის აპრილის 1-დან ივნისის 1-დე.

| №.№. რიცხვ. | აანამდებობისა და ხარჯის სახელწოდება. | თანამდებობის პირთა რიცხვი. | თვიური თანდარი. | ყველას თვეურად. | ყველას 1920 წლ. აპრილის 1-დან ივნისის 1-დე. |
|--------------------------------|--|----------------------------|-----------------|-----------------|---|
| 1 | მთავარი ხელმძღვანელი კულტურა-განათლების სექციისა | 1 | 4050 | 4050 | 8100* |
| 2 | მისი თანამდებობა (ლექტორი-მასწავლებელი) | 1 | 3750 | 3750 | 7500 |
| 3 | სექციის გამგე უფროსი | 1 | 3750 | 3750 | 7500 |
| 4 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2700 | 2700 | 5400 |
| 5 | მანქანით გამგე | 2 | 1400 | 2800 | 5600 |
| 6 | წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგე-ხელმძღვანელი | 1 | 2000 | 2000 | 4000 |
| 7 | შეკრიკი (ჯარის კაცი) | 1 | 100 | 100 | 200 |
| 8 | დარაჯი | 1 | 1225 | 1225 | 2450 |
| 9 | მეეტლე | 1 | 1400 | 1400 | 2800 |
| შტატისა და ათასეულებში. | | | | | |
| 10 | ქვეითი ბრიგადის სამ შტატში (თითო ინსტრუქტორი მასწავლებელი) | 3 | 3300 | 9900 | 19800 |
| 11 | თორმეტ ქვეით ათასეულში, ოთხ საარტილერიო დივიზიონში, ერთ ცხენოსან რაზმში, სანაპირო, სადარაჯო და მესანგრე ათასეულში: | | | | |
| | ა) მასწავლებელი | 20 | 2700 | 54000 | 108000 |
| | ბ) ოფიცერი | 20 | 2700 | 54000 | 108000 |
| 12 | დახმარება სანაპირო რაზმებს და სატენიკო გუნდებს | — | — | 8334 | 16668 |
| 13 | ყოველ-კვირეული ჟურნალის გამოცემა | — | — | 10583 | 21166 |
| 14 | სახელმძღვანელოთა და სასწავლო ნივთებისათვის | — | — | 23335 | 46670 |
| 15 | ჟურნალ-გაზეთების დასაბარებელი | — | — | 3750 | 7500 |
| 16 | ბროშურებისა და წიგნების გამოცემა-შეძენისათვის | — | — | — | 250000 |
| 17 | ჟურნალ-გაზეთების ჯარის ნაწილებში გადაგზავნა, მოწვეული ლექტორის გასამრჯელო, საკანცელარო ხარჯი და სხვა | — | — | 17000 | 34000 |
| 18 | წარმოდგენების გამართვა, სინემატოგრაფით მოგზაურობა ჯარის ნაწილებში და სხვა | — | — | 12500 | 25000 |
| 19 | ჯარის-კაცთა უნივერსიტეტისა, სკოლებისა, სამკითხველოებისა და თეატრების ათასეულებში მოწყობის დასამთავრებლად | — | — | — | 950000* |
| 20 | სატენიკო გუნდებში სამკითხველოების გასამართავად | — | — | — | 50000 |
| 21 | ეტლისა და ცხენების შესაძენად | — | — | — | 160000 |
| 22 | ტფილისში ჯარის საგარნიზონო კლუბის მოსაწყობად-აუდიტორიით, პროექტორით და თეატრით | — | — | — | 180000 |
| 22 | მოულოდნელი ხარჯისათვის | — | — | — | 41000 |
| | სულ | — | 28075 | 215177 | 2061354 |

შენიშვნა: *) სექციის მთავარი ხელმძღვანელი მუშაობს ბრიგადის უფროსთან შეთანხმებით. პასუხისმგებელია ბრიგადის უფროსი.

შენიშვნა: **) ერთდროულად. 1920 წ. აპრილის 23-ს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ურდანიანი.

დეკრეტი

ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის ნოემბრის 1-დან ტფილისის ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა თანახმად ამასთან დართული ნუსხისა.

2. პირველ (1) მუსხლი აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარისა 1919 წ. ნოემბრის 1-დან 1920 წ. ივნისის 1-დე.

Table with 5 columns: No. რიგში, Object/Service, Unit, Amount, Total. Lists various expenses for the orphanage, including food, clothing, and medical costs.

(რუბრის ოცდა ცამეტი ათას ხუთას ოთხი მან.)

შენიშვნა. სურსათი მიეცემა ყველას გარდა ფერწალი ქალისა.

1920 წ. აპრილის 2-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიანი.

არა ოფიციალური განმარტება

რესპუბლიკის უკმა საჯარო პროკურორის განცხადება და სპეციალური მიმსახურების უფროსის განცხადება.

თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ. 27 ივნისის გამოცემული დეკრეტისა („საქართველოს რესპუბლიკა“ № 145) ეროვნების განმეორებულ ვალდებულებათ მიიღონ სასტიკი ზომები, რომ ის პირნი, რომელთაც სამხედრო ბეგარა არ მოუხდიათ, ან სრულებით არ გამოცხადებულან სამხედრო სამსახურში, და ან კიდევ სამსახურიდან გაქცეულან, — მილიციის შემწეობით უნდა გამოძებნონ, დაკავებულნი და სამხედრო სამხედრო აღრიცხვის უფროსის განკარგულებაში უნდა იქნან გადაცემულნი. სხვათა შორის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში № 145 განმარტება იყო იმისა, რომ მთავრობის დადგენილებით ყველა მშობლები, ნათესავები და სოფლის მოხელენი, რომელნიც შემწეულნი იქნებიან „დეზერტირების“ დამალვაში ხელის მომწყობ პირებთან ისინიც სასტიკად დაისჯებიან ჯარიმის გადახდევინებით და დაპატიმრებით. მაგრამ მიუხედავად ამნაირი კატეგორიული განკარგულებისა, სამხედრო ეროვნებს და მილიციის უფროსებს აქამდე არ მიუღიათ სასტიკი ზომები ამ საკითხის განხორციელებისათვის და სამხედრო სამინისტრო დღემდე წინააღმდეგობას გვიწოდებს მომართვის, რომ ჯარებიდან გაქცეულნი დაუყოვნებლივ იყვნენ გამოძებნონ და სამხედრო უფროსების განკარგულებაში გადაცემულნი.

განმეორებით გაძღვეთ წინადადებას, რომ ადგილობრივი გვარდიის შტაბის წარმომადგენელთან შეთანხმებით შედგეს საგანგებო ორგანიზაცია „დეზერტირების“ გამოძებნის, დაკავებისა და სამხედრო სამხედრო აღრიცხვის უფროსისადმი გადაცემის და ამ

წლის ივნისის 1-დე რუბრის ოცდა ცამეტი ათას ხუთას ოთხი (833.504) მანეთი.

3. ამ დეკრეტით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წ. თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომარტება ჯამაგირისა.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აპრილის 27-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე. რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიანი.

თბილის მიუქცევია ამ მოვალეობისათვის ყურადღება და სანამ საბიუჯეტო უფლებები გამოირკვეოდეს თხოვლობს:

1) სამხედრო ეროვნებს გადაეცეს სავსებით მიწის გადასახადი;

2) სამხედრო ეროვნათა სასარგებლოდ დაწესდეს გადასახადი მთავრობის ყველა იმ საწარმოო დაწესებულებებში, რომლებიც დაკავშირებული არიან მხედრობის ფარგლებში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრის ექსპლოატაციასთან; რაოდენობა ამ გადასახადისა არ უნდა აღემატებოდეს საერთო შემოსავლის 10%.

3) გაყიდულ მიწების შემოსულ თანხიდან ეროვნათა სასარგებლოდ გადაიდოს 40%; ამ წყაროდან შემოსული თანხა უნდა მოხმარდეს მხოლოდ მხედრობის ეკონომიურ აღორძინებას;

4) ვინაიდან ზემოდ აღნიშნული გადასახადის აკრეფა შეგვეანდება და ეროვნებს კი ეხლავე ესაკიროება თანხები თავის მოქმედების განსახილველად, მიეცეს მათ სესხის სახით აღნიშნული მიწის გადასახადების გარანტიის ქვეშ 100 მილიონი მან. და

5) დაუყოვნებლივ გატარებულ იქნას სათანადო წესით მიწათ-მოქმედების სამინისტროს შუამდგომლობა ეროვნისათვის 20% სახელმწიფო მამულებიდან საჯარო შემოსავლისა. მოვახსენებთ რა ზემო აღნიშნულს მე საჭიროდ მიმაჩნია ეროვნათა კავშირის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნეს.

ეს მოხსენება რესპუბლიკის მთავრობამ დაადასტურა 4 მაისის სხდომაზე და ამ დღეებში წარედგინება დამფუძნებელი კრებას სათანადო დეკრეტით.

გომის რაიონის კოოპერატივთა კავშირის შუამდგომლობა.

გომის რაიონის კოოპერატივთა კავშირის განცხადება შუამდგომლობს, რომ მთავრობამ თავის დადგენილებით 11 ივლისის 1919 წ. კანონის მე-12 მუხლის ძალით ჩამოართვის უძრავი ქონება გომის სადგურთან მდებარე მ. გოკილოვს. ეს შუამდგომლობა თავისი დასკვნით შინ. საქ. ს. გადაუგზავნა იუსტიციის სამინისტროს დასკვნისათვის.

სამხედრო ცნობა

მაისის 8.

მთავარ შტაბის ცნობა.

გაგრის, ბათუმისა და არდაგანის ფრონტზე სიწყნარება. ზრამის ხიდის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ფთილოს რაიონში მ. მასს დამით მტერი თოფებით და ტყვიის მურქვევლებით ესროდა ჩვენს პოზიციებს.

ყაზბეგის, როკისა და მამისონის რაიონებში სიწყნარება.

რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსი

მოხილვისათვის განთავისუფლება.

რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ დაადგინა: მოხილვისათვის გაწვევისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ დეპარტამენტის დირექტორები და მთავარი ბუჭალტერები. იმავე საბჭოს დადგენილებით მოხილვისათვის გაწვევისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ სამხედრო ეროვნათა თავმჯდომარენი და ქალაქის მოურავნი, მთავარი ბუჭალტერები, ეროვნის სამხედრო განყოფილებათა გამგე და ამავე განყოფილების საქმის მწარმოებლები და მიწის მშობლები.

ეს დადგენილება თავდაცვის საბჭოსი შინ. ს. ს. საჩქაროთ აცნობა ეროვნებს და ქალაქების თვითმმართველობებს.

უცხოეთი

თავდა-აზნაურობა პრუსიისში.

პრუსიის ეროვნულმა საბჭომ თავდა-აზნაურობის ყოველ გვარი პრივილეგიები გააუქმა.

გერმანია და ჰუნგრეთი.

კანცლერ რენერის სიტყვით გერმანიისა და ჰუნგრეთის მდგომარეობა ისეთია რომ ეს ორი სახელმწიფო უქვევლია ერთად შეერთდება.

ამერიკა და საბჭოთა რუსეთი.

როგორც ჰელსინფოსიდან იტყობინებიან რევულში ამერიკის მისიის წარმომადგენელთა ხელი მოუწერიათ საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულებას, რომლის ძალით ამერიკამ საბჭოთა რუსეთს უნდა გამოუგზავნოს 400 ორთქმავალი.

იაპონია და რუსეთი.

ხაბაროვსკში გამუდმებით იაპონიის და რუსეთის

სეთის ჯარის ნაწილების შეტაკება ხდება. შეტაკებების დროს იაპონელებს დაუპარგიათ 79 ჯარის კაცი რუსებს—400.

საბჭოთა ადერბეიჯანის დელეგაცია პეტროვსკში.

პეტროვსკში ჩავიდა საბჭოთა ადერბეიჯანის დელეგაცია. დელეგაციის აზრად აქვს დაღესტანის ხვედკომომთან ერთად იმოქმედოს საომარ ასპარეზზე. მოლაპარაკებაში მონაწილეობას ლეზღოლებს ოსმალეთის აგენტებიც.

ანზავურ ფაშის გამარჯვება.

კონსტანტინოპოლის ვაზეთები გადმოგვიცემენ რომ ანზავურ ფაშის „ნაციონალურ“ ჯარებზე რომელიც ხელმძღვანელობს მუსტაფა-ქემალი, ვაუმარჯვია. როგორც დანაშაულებით ასაბუთებენ ანზავურ ფაშა საბოლოოდ გაანადგურებს ამ ამოხეებს. ქემალ ფაშის მოწინააღმდეგე წრეებში ყველას სურს მიიტანოს მატერიალური და მორალური მსხვერპლი იმ იმედით რომ „ოტიხალი“ არ ჩაუდგეს სათავეში მათი ქვეყნის მმართველობას.

დეკრეტები

(საქართველო დეპუტატთა სააგენტო)

მოსკოვი ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი მ. ლენინი „პრავდაში“ სწერს: მამის შესდგა მოსკოვის მუშათა და წითელ არმიელთა, დ. ც. ა. კ., პროფ. კავშირების განვითარება და ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების შეერთებული სხდომა. ამ სხდომაზე გამოვლინდა ყველა ორატორთა სიტყვა, ყველა განცხადება და ვროხმად მიღებულ რეზოლუციას, ყველაფერი ეს ნათლად ამტკიცებს იმ ღრმა აღშფოთებას, რომელიც პოლონეთის შლიანტის ჩვენზე ახლმა თავდასხმამ გამოიწვია ყველა მშრომელთა და საბჭოთა რუსეთის ყველა მართლ პარტიოსან მოქალაქეთა შორის. ჩვენ არ ვილაპარაკებთ კომუნისტების გადაწყვეტილებებზე იმის შესახებ, რომ მთელი თავისი ძალის ისინი ამ ახალ ბრძოლას მოანდომებენ. აღსანიშნავია ის, რომ თვით მემარჯვენე ესერთა პარტიის ც. კ. შემოიტანა განცხადება, სადაც ამბობს: რუსეთზე მომავალი პოლონეთის თეთრ გვარდიელთა შლიანტა ჩვენი პარტიის სახეში შეუტრიალებელ მტერს იხილავს. ამგვარად მოწოდებაა პოლონელ მოძალადეებთან ბრძოლისაგან მენშევიკთა განცხადებაშიც. თვით ძველი, მეფის გენერლები ბრუსილოვსის მეთაურობით, რომელთა თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა მთავრობასთან დღემდის არავითარი ლაპარაკიც კი არ ყოფილა, დღეს ჩვენ შემოგვიერთდენ. ჩვენ, კომუნისტებმა უნდა შევასრულოთ ეს ამოცანა, თუ კი სხვა კლასები აცხადებენ, რომ მზათ არიან ბრძოლისათვის მსხვერპლი გაიდონ, მაშინ პროლეტარიატი, რომლის ბრძოლის მეთაურად ცნობის მომხრენიც არიან ისინი, ყველგან ყველაზე წინ უნდა იდგეს, მან უნდა გააორკეცოს თავისი ენერგია და პირველ ადვილზე ისე, როგორც ყოველთვის, უნდა დადგეს პროლეტარიატის ავანგარდი, კომუნისტების პარტია. ჩვენ ბრძოლას არა აქვს რაიმე ნაციონალისტური ხასიათი, ჩვენთვის უცხოა დაპყრობითი მიზნები, ჩვენ ვიბრძვით არა ჩვენი ძმები პოლონელ გლეხებისა და მუშების წინააღმდეგ, არამედ თავებზე, მკაცრ და ხარკ პოლონეთის შლიანტის წინააღმდეგ. გაზეთებში გამოქვეყნებულია ბრუსილოვსის წერილი სრულიად რუსეთის მთავარ შტაბის მიმართ პოლონეთის შემოტევის გამო. წერილში ნათქვამია: უკანასკნელ დღეებში მე გაზეთებში ყოველდღე ვკითხულობდი პოლონელების ჩქარ და ფართო შეტევის შესახებ. მათ, როგორც სჩანს, სურთ ხელთ იგდონ ყველა ის ადგილი, რომელიც 1772 წლამდის პოლონეთის სამეფოს საზღვრებს შიგნითადა და შეიძლება, რომ ამითაც არ დაკმაყოფილდენ. თუ ეს მოსახოება სწორია, მაშინ მთავრობის შემოფოთება, რომელიც ვაზეთებიდან სჩანს, ვასავები და ბუნებრივია. გვერდია, რომ რუსეთის ამგვარ თანამედროვე მდგომარეობის დაწვრილებით განსახილველად სასურველი იქნებოდა სამხედრო და ცხოვრების საკითხებში გამოცდილ პირთა თათბირი მოგვეხდინა. ჩვენმა ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ჩვენი ძველი მთავრობა არ იყო მართალი, რომ ივენც პოლონეთის ძმური ხალხის ნაწილი ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში თავის ბატონობის ქვეშ ყავდა. თავისუფალი რუსეთი სწორეთ მოიქცა, როდესაც დაუყოვნებლივ მოხსნა ჯაჭვები ყველა დამორჩილებულ ხალხს, მაგრამ განათავისუფლარა პოლონეთი და მისცა რა მას თვითგამორკვევისა და თავის სურვილისადმი მოწყობის

ულ მსგელოდობის გამო დაირღვა და ეს სასწრაფოთ შესასრულებლად ეცნობოს სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას.

მხარაძე. კომისიამ გამოიტანა დადგენილება ყაზახის მხარაში მდგომარეობის აღდგენისა და მცხოვრებთა თავიანთ ადგილებზე დაბრუნების შესახებ.

მაჩიკონიანი. ჩვენ არ შეგვხვიათ საკითხის საზღვრების შესახებ. ჩვენ გვსურდა, რომ მცხოვრებნი, რომელიც ორთა გაყოფიდან და ერთი მეორის წინააღმდეგ თხრობებში ჩამჯდარან, ამოსულიყვნენ ამ თხრობებიდან და თავის ადგილებს დაბრუნებოდნენ.

გუგუშვილი. ასე რომ კომისიის საზღვრების შესახებ გადაწყვეტილება არ ჰქონია.

აგაფი. კომისიაში საზღვრების შესახებ ლაპარაკი არ ყოფილა, მაგრამ ეხლა კომისიის აუცილებლად მიაჩნია საზღვრების შესახებ რაიმე გადაწყვეტილებას მიადგეს. ჩვენ საჭიროდ ვთვლით, რომ აღდგენილ იქნეს ის მდგომარეობა, რომელიც შეტაკებამდის არსებობდა.

კომისია წინადადების განსახილველად სხდომის შეწყვეტას ითხოვს. სხდომის განახლებიანს მხარაძე კითხულობს კომისიის რეზოლიუციას: ყაზახის რაიონში მომავალში მოსალოდნელ სისხლის მღვრელ შეტაკებათა შესაძლებლობის მოსასობათ კომისიის აუცილებლად მიაჩნია, რომ აღნიშნულ რაიონში აღდგენილი იქნას ის ფაქტობრივი მდგომარეობა, რომელიც არსებობდა შეტაკებამდის და რომ მცხოვრებთ თავის ადგილებზე დაბრუნების შესაძლებლობა მიეცეთ.

მხარაძე. ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილის თანახმად კომისიის საჭიროდ მიაჩნია, რომ რეზოლიუციის დეტალური განხორციელება ადგილობრივ ძალებს მიენდოთ.

ოგუანიანი მე საჭიროდ ვთვლი ხაზი გაუსვია მას, რომ საკითხის მშვიდობიან თანხმობით გადაწყვეტის სურვილის გამო ჩვენ ვდებულვით რეზოლიუციას და ვუერთდებით კომისიის აზრს.

გუგუშვილი. რეზოლიუცია მიღებულია და იგი ეცნობება მათ, ვისაც ჯერ არს.

მხარაძე. დამატება არ არის შეტანილი რეზოლიუციაში, მაგრამ საჭიროა იგი თუნდაც სურვილის სახით ეცნობოს მთავრობებს.

გუგუშვილი. კომისიის დამატებითი განცხადების შესახებ ვაგაფიანობს მთავრობებს.

ხ. ხიფი. რას ნიშნავს რეზოლიუციის დეტალური განხორციელება ადგილობრივ ძალებს მიენდობათ? შეტაკებამდის ყოფილ მდგომარეობის აღდგენის საკითხი მთავრობამ უნდა განიხილოს.

მხარაძე. მცხოვრებთა თავის ადგილებზე დაბრუნების საკითხი გადაწყვეტილია კატეგორიული დადგენილებით, ამას ცხოვრებაში ატარებენ მთავრობის წარმომადგენლები ადგილობრივ ძალთა დახმარებით.

შემდეგი სხდომა ინიშნება 19 აპრილის დღის 1 საათისათვის. თავმჯდომარე **გუგუშვილი**.

სამხედრო სენატორი

სამხედრო ცენზურის შემოღების გამო: 1) აკრძალულია ბეჭდითი სიტყვის, საფოსტო ან სატელეგრაფო კორესპონდენციის, საჯარო სიტყვების და მოხსენებების საშუალებით გავრცელება ანუ გამოქვეყნება ყველა იმ ცნობებისა, რომელსაც შეუძლია ვნება მოუტანოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვას და სამხედრო ინტერესებს ან ცუდი გავლენა იქონიოს მოსახლეობის სულიერ განწყობილებაზე;

2) კერძოდ აკრძალულია გამოქვეყნება და გავრცელება ცნობებისა ჯარის რიცხვის შესახებ, ჯარის გადაყვანა-გადმოყვანის შესახებ. აკრძალულია აგრეთვე ჯარის სახელების (ნომერის გუნდის და სხვა) მოხსენება ჯარის ნაწილების შემადგენლობა (რიცხვი ჯარისკაცთა, ოფიცერთა, ზარბაზნებისა, ტყვისმფრთველებისა და სხვა), ჯარის შეიარაღების ვითარება, რაოდენობა სამხედრო მასალის, ამუნიციისა, ცვალებადობა მისი და სხვა ამგვარი ცნობები;

3) აკრძალულია ცნობების მოთავსება რკინის გზის და შარა გზების მდგომარეობის შესახებ, ტელეგრაფისა, ქალაქთაშორისო ტელეფონის ხაზის მდგომარეობის შესახებ;

4) აკრძალულია აგიტაცია სიტყვით, თუ ბეჭდით მთავრობის სამხედრო სამზადისადმი მიმართულ განკარგულების წინააღმდეგ;

5) აკრძალულია აგრეთვე ბრძოლის ველზე ჯარის ნაწილების გადაჯგუფების პუნქტების დასახელება არტილერიის და საზოგადოთ ყოველგვარ სროლის ზედმოქმედებისა, ანუ შედეგის შესახებ ცნობები, დაჭრილ-მოკლულთა რიცხვის დასახელება.

ბათუმის აზვები

ქართველი მუსლიმანები ყველგან აღტაცებით ხვდებიან საქ. ჯარს და საუცხოო დამოკიდებულებას იმყოფებიან მათთან. ჯარის მოსვლისთანავე ყაზაღაზი და სხვა ბოროტმოქმედებებმა შესამჩნევად იკლო. დანარჩენ რაიონების მცხოვრებლებიც ერთხმად მოითხოვენ იქაც მივიდნენ ქართველი ჯარები.

— ბათუმის ბანკების მართველებს თათბირი ქონდათ ბანკების ქონებათა დაცვის შესახებ. თათბირმა ერთხმად დაადგინა, რომ ქ. ბათუმში სრულიად არ არის უზრუნველყოფილი წესრიგი, რომ მოსალოდნელია ბანკებზე თავდასხმა და ფულბის გატაცება. ამიტომ თათბირმა ინგლისის სარდლობას სთხოვა სათანადო ზომების მიღება, აღნიშნა რა რომ ჯერ-ჯერობით სავსე ზომებს თათბირი, სამწუხაროთ, ვერ ხედავს.

— ჩვენ ვაღმოგვიჩვენებ, რომ ბათუმის ოლქის სამოქალაქო ნაწილის უფროსი, თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში გენერალ კუკოლისისა პოლკოვნიკი ვარისის სამხარულიდან გადადგა. ამბობენ, რომ ეს გადადგომა მოხდა ბ.ნ. ვარისის სურვილის გარეშე. ქალაქში ხმებია, რომ მოსალოდნელია ცვლილებები სხვა მართველთა შორისაც.

— ქობულეთიდან მიღებული ცნობებით იმ პირობა შორის, რომლებიც პროვოკატორებმა აიყოლიეს, დიდი რყევია. ისინი მოითხოვენ, რომ გაუშვან სახლში, ვინაიდან დარწმუნდნენ, რომ მათ არყუებენ, სურთ მათი გამოყენება ჩვენი კუთხის დასალუპავათ. ამას გარდა, ამ ჯამად ხენა-თესვის დროა და ისინი თავის ყანების დათესვას ჩქარობენ. დიდი უკმაყოფილებაა აგრეთვე იმის გამო, რომ პროვოკატორები მცხოვრებლებს თავის „ჯარის“ გამოსაკვებათ ძროხებსა და ხარებს უქლავენ.

— არღანუქის, ართვინის, შავშეთის და ხულოს ქართველი ჯარებისაგან დაკავების გამო, ამ რაიონებში სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით გააუქმეს სასოფლო საავადმყოფოები. ყველა მოსამსახურეებს ურიგებენ სალიკვიდაციოს. („ს. ს.“)

მილიციის

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა მიხეილ სოლომონის ძე ქუთათელაძე, რომელსაც მიხეილ ლოლუასთვის მოუპარავს 41,000 მან. გაჩხრეკის დროს მის ბინაზე აღმოჩნდა მოპარულ ფულის ნაწილი და ძვირფასი ნივთები იმ ფულით შექმნილი. ქუთათელაძე ქუთაბში გამოტყდა.

ალექსანდრა ილიას ასულმა მაჩაბელმა განუცხადა, რომ მას წერილობით სთხოვენ ბოროტ-განზრახვლები 90,000 მან. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებიან მას და მის შვილებს სიკვდილით. ფული მას უნდა მიეტანა 5 მისს პირველ საათზე სახელმწიფო თეატრთან და უნდა მიეტოვებინა მისი ვ-ნც ეტყუოდა სიტყვა „წერილი“. მაჩაბელისა ასეც მოიქცა. ამას თვალყურს ადევნებდა თვით მილიციის უფროსი, მან შეამჩნია, რომ მაჩაბელისას გამოართვა ვახვეული ერთმა ახალგაზრდამ და უნდა გაქცეულიყო. მან იქვე შეიპყრო ბოროტ-განზრახველი, რომელიც აღმოჩნდა ყოფილი პოდპორუჩიკი კორნილი კონსტანტინეს ძე კოტანოვი. ბ. ფაჩულიამ იქვე შეიპყრო მეორე ბოროტ-განზრახველი, რომელიც აღმოჩნდა ალ. მაჩაბლის ნათესავი, ყოფილი პორუჩიკი მიხეილ მაჩაბელი. მაჩაბელი გამოტყდა, რომ წერილი დაწერა მუშტაიდის ბაღში სტეფანე გიორგის ძე გამბაროვმა, რომელიც მსახურობს „ცენტრო ბანკში“ საქმის მწარმოებლათ. გამბაროვმა წერილის დაწერაზე უარი განაცხადა. სამივე დაპატიმრებული არიან.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა საზღვარ გარეთელი პასპორტი დავით-ხაიმ მიხეილის ძე თეთრუაშვილის სახელზე, მიღებული საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროდან 1919 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 857 3—1

დაიკარგა პავლიუნისკის ქუჩაზე № 23 მდებარე გიორგი ხიზანიშვილის სახლის დავთარი გაუქმებულია ჩაითვალოს. 858 3—1

დაიკარგა პავლუნისკის ქუჩაზე № 30 მდებარე სარქის შახნაზაროვის სახლის დავთარი გაუქმებულია ჩაითვალოს. 859 3—1

დაიკარგა ვვარდის წვერობის ბილეთი ევანე ანტონის ძე ჩაჩიბაიას სახელზე, მიღებული ვუდაუთის ვვარდის შტაბიდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 3—4

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ანნა ვასილის ასულმა ლეკიშვილისამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი დიმიტრი გიორგის ძე ლეკიშვილი, რომელმაც დაიწერა 1909 წელს, უკვალოდ დაიკარგა, 1910 წელს, რის გამოცოლი მისი ანნა ვასილის ასული ლეკიშვილისა ითხოვს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგული დიმიტრი გიორგის ძის ლეკიშვილის მისამართი ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს ზემოაღნიშნულ პირის შესახებ, დიდიან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 768 1—1

დაიკარგა გეორგი მანთაშვიის ნავთლულში მდებარე სახლის დავთარი. გაუქმებულია ჩაითვალოს. (უფ) 3—1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა შალვა აპირანაშვილის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 963 3—1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა ვლადიმერ გუგუშვილის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 964 3—1

დაიკარგა რუსთაველის პროსპექტზე № 6 მდებარე ძმები მანთაშვიის სახლის დავთარი. გაუქმებულია ჩაითვალოს. 865 3—1

სილოვან ნიკოს ძე ბარაბაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი, მეტრიკული ამონაწერი და რკინის გზის სამმართველოდან მიღებული პირადობის მოწმობა. გაუქმებულია ჩაითვალოს. 871 3—1

დაიკარგა პასპორტი ევანატე პავლის ძე მიშელაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 872 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი დარისპან ამირანის ძე გავნიძის სახელზე, მიღებული საქართველოს წარმომადგენელიდან ქ. ბაქოში 1920 წ. გაუქმებულია ჩაითვალოს. 880 3—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 22308 აღებული ტფ. სინოდალურ კანტორიდან 3/XII 1909 წ. ანა ვასილის ასული ახობაძის სახელზე. გაუქმებულია ჩაითვალოს. 884 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრადიან თავისუფლების მოწმობა № 1960 ნიკოლოზ ესტატეს ძე შენგელიას სახელზე, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულია ჩაითვალოს. 974 3—1

იყილება ორი ავტომობილი

საჯარო ვაჭრობით 12 მაისს, შუადღის 12 საათზე, „გოჩის“ და „კეის“-ის ქარხნისა; ორივე ექვს ადგილიანია, 40 ცხ. ძალ. ცნობების მიღება შეიძლება ერობის ტენიკ. განყოფილებაში (რუსთაველის პრ., 6). 959 1—1

ტფილისის მაზრის ერობის ტენიკური განყოფილება.

ნახუიკრა-ტყიბულის

სამხრ-მადნო საზოგადოების სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მომხდარ შეთანხმების გამო საზოგადოების ქონების გაყიდვის შესახებ და თანახმა 1920 წ. 24 აპრილს მომხდარ აქციონერთა საერთო კრების დადგენილებისა, ხდება საზოგადოების ლიკვიდაცია, რის გამოც ბ. აქციონერები უნდა გამოცხადდნენ საზოგადოების გამგეობაში, სოლოლაკის ქუჩა, № 14, და წარმოადგინონ თავიანთი აქციები 1920 წ. 1 ივნისამდე, რათა მიიღონ ხვედრი ფული 900 მანეთი თვითუფ აქციებზე. 929 2—1

გაიცემა იჯარით საწყობების

ათას საშენზე მიეჭი ადგილი

დიდი მთავრის ქ., № 24,

სადაც იყო შეშის და ხის მასალის საწყობი.

პირობების შეტყობა შეიძლება 9—3 საათამდე მიწათ-მოქმედების სამინისტროში ქარვასლის და ელექტრონის კანტორაში, დამფუძნებელ კრების ქ., № 5 (ყოფილ 445 თავად-აზნაურობისა).